



ლევან კოჭლამაზაშვილი

არნოლდ ჩიქობავას სახელობის
ენათმეცნიერების ინსტიტუტი,
საქართველო

levan.kochlamazashvili285@hum.tsu.edu.ge



**ფონეტიკური ტრანსფორმაცია – სახელის
ფუძის სემანტიკის დიაქრონიული გარდაქმნის
ხელშემწყობი პირობა**

სტატიაში მიმოხილულია ფუძის ენობრივი შესაძლებლობი, რომელიც მას სხვადასხვა იერარქიულ დონეზე გამოეკვეთება და ისტორიის განმავლობაში როგორ შეინარჩუნებს ლინგვისტურ ხასიათს.

მსჯელობა წარიმართება დმ- ქართული ძირის კვალდაკვალ, რომელსაც არაერთი გეოგრაფიული სახელის ფუძე ემყარება. გაშუქებულია მისი ფონეტიკური გარდასახვის ისტორია, რაც ასახულია სხვადასხვა ტოპონიმში.

გამოვავლინეთ ძირის შესატყვისები სვანურსა და კოლხურში, რომელთა ფონეტიკურ სახეცვლილებას სემასიოლოგიური გადახრაც ერთვის თან.

მონაცემთა ისტორიულ-შედარებითი წრილით განხილვის საფუძველზე წარმოდგენილია ხედვა პირველსახის აღდგენისა საერთო-ქართველური ფუძე-ენის ქრონოლოგიურ დონეზე.

საკვანძო სიტყვები: დიაქრონიული ფონეტიკა, სემასიოლოგია, ქართველური ენები

სიტყვის აგებულებაში ფუძე სემანტიზებულ ერთეულად გამოიყოფა, რომელსაც შესწევს ფორმატწარმოების უნარი. იგი, თავის მხრივ, მარტივ ენობრივ ერთეულად არ მოიაზრება, რამეთუ ორი მორფემის – ძირისა და დერივაციული აფიქსის – ნაერთია. მას შეუძლია ნიშან-თვისებათა საილუსტრაციოდ ენას იდენტობის ასპარეზად ექცეს და ინდივიდუალური ხასიათით გამოარჩევდეს მას სხვა სისტემა-სტრუქტურათაგან. მისი უპირატესობა თუნდაც იმითაც გამოიხატება, რომ მორფოლოგიური ხასიათის გამოხატვის საშუალების უქონლობის შემთხვევაში (ბრუნება, უღლება) ითავსებს აფიქსაციის ფუნქციას და ფლექსიით უნაზღაურებს ენას ბრუნვის ნიშნის არარსებობას და ამ გზით უწყობს ხელს ბრუნების მორფოლოგიური პროცესის განხორციელებას. ცნობილია, რომ ეს

ხერხი სემიტურ ენებს ახასიათებთ¹.

წინამდებარე კვლევის ფარგლებში ყურადღებას ვამახვილებთ სახელის ფუძის, როგორც აზრობრივი ელემენტის, ენობრივ შესაძლებლობებზე, რომელნიც მას მეტ-ნაკლები სიმტკიცით უნარჩუნდება ისტორიის მანძილზე. გარე ფაქტორებით განპირობებულ მიზეზებს სიტყვის დესემანტიზება ფონეტიკური იერის ცვალებადობის პირობებში შეუძლია. ისეთი ძირიც კი, რომელიც პირველადი ლექსიკური ფონდის შემადგენელი ერთეულიც შესაძლოა ყოფილიყო, ამ ენობრივ პროცესს ემორჩილება და ერღვევა ან შინაარსობრივი, ან გამოხატულებითი მხარე, ან – ორივე ერთად.

განსახილავად შევარჩიეთ დმ- ძირით მიღებული ფუძეები ქართულში, რომელთა პირვანდელი შინაარსი და ეტიმოლოგიური წარმომავლობა უცნობია. ამას თან ერთვის ფონეტიკური პროცესების მოქმედება, რამაც დიაქრონიულ ცვლილებებს კიდევ მეტი გასაქანი მისცა, ღირებულებითი (შედეგობრივი) თვალსაზრისით. მოპოვებული მონაცემებით, სამეტყველო ლექსიკურ ფონდში არ გვხვდება, თუმცა თავს იჩენს გეოგრაფიულ სახელებში. ქვემოთ წარმოდგენილია მსჯელობა იმ კოგნიტიურ მიზეზ-გარემოებაზე, რამაც ამ ძირის რეალიზაციის საჭიროება შექმნა.

გეოგრაფიულ სახელთა საწარმოებლად დმ- ძირი დერივაციულ აფიქსებს იყენებს: /-ან/, /-ალ/, /სა-ელ/.

/-ან/ დეტერმინანტით ნაწარმოებია ტოპონიმ დმანისის² ფუძე, რომელიც დაიშლება ასე: დმ-ან-ის-ი.

დმან- ფუძესვე ფონეტიკური სახეცვლილებითაც ვხვდებით შიდა ქართლის სხვა ტოპონიმშივე (დმენისი)³: დმენისი < დმანისი, სადაც ე-ა გარდაქმნა დისტანციური, რეგრესული, ნაწილობრივი ასიმილაციით აიხსნება.

იგივე ფუძეს შევნიშნავთ დვან-შიც, რომელიც მ-ვ (ჟ) გადაბგერების შედეგად უნდა მიღებულიყო: *დმანი > დვანი.

დმ- ძირი დასავლეთ საქართველოს გეოგრაფიულ სახელებშიც გვხვდება. ფორმათწარმოება აქაც სხვადასხვაგვარია. მაგალითად, რაჭის სოფელ სადმელის⁴ სახელწოდებაში, მართალია, ძირი ფონეტიკურად უცვლელია, თუმცა ფუძე /სა-ელ/ ირგვლივსართით იწარმოება: სა-დმ-ელ-ი.

დასავლეთ საქართველოს სხვა ტოპონიმებში დმ- ძირი ერთგვარი ფონეტიკური პროცესით ხასიათდება: CS აგებულების თანხმომვანტოკომპლექსი გათიშულია ანაპტიქსური ხმოვნით: დმ > დVმ. ასეთია, მაგალითად, დიმი-ი⁵. ამ შემთხვევაში ფუძე და ძირი ერთმანეთს ემთხვევა.

1 ჩიქობავა 2008, 190-91.

2 ქალაქი ქვემო ქართლში, ამავე მხარეში გვხვდება სოფლები დიდი და პატარა დმანისის სახელებით.

3 პატარა ლიახვის ხეობის სოფელი დმენისი, ქსუისის თემი (გორის მნცპ.); ამჟამად ოკუპირებულია რუსეთის მიერ.

4 მდებარეობს რიონის ხეობაში (ამბროლაურის მნცპ.),

5 სოფელი იმერეთში, ხანის ხეობაში (ბაღდათის მნცპ.). მასვე ემუხებოდა სოფელი ზედა დიმის სახელწოდებით.

ზოგჯერ ანაპტიქსი უ ხმოვნით მიმდინარეობს, რაც შესაძლოა, მ სონორის გავლენას მიეწერებოდეს: დმ>დV_მ. ამგვარად გარდაქმნილი ჩანს დუმალა¹ ჰიდრონიმის ძირი, რომლის ფუძეც /-ალ/ დეტერმინანტითაა ნაწარმოები: დუმ-ალ-ა.

ყურადღებას იქცევს ზემო იმერეთის ტოპონიმი დუნთა². ფუძეში გამოიყოფა /-თა/³ ბოლოსართი: დუნ-თა. ძირი, თავის მხრივ, ფონეტიკურად სახეცვლილი ჩანს: დუნთა < *დუმთა, სადაც ნ<მ გარდაქმნა თ-ს მიერ გამოწვეული კონტაქტური, რეგრესული, ნაწილობრივი ასიმილაციით აიხსნება.

იმავე დუმ- ძირ-ფუძეს ვხვდებით ტომპოზიტის ტიპის დუმაცხო ტოპონიმში⁴. იგივე ტოპონიმი შიდა ქართლშიც მეორდება⁵, თუმცა სახელობითი ბრუნვის /-ი/ ნიშნის დართვამ ინტერვოკალურ პოზიციაში ვ (ჟ) ხმოვანთგამყარი ბგერის განვითარება გამოიწვია: დუმა-ცხოი > დუმაცხოვი.

დუმ-ფორმიანი ძირითაა ნაწარმოები ტოპონიმი დუმანისი⁶, რომელიც დმანისის მსგავსი აგებულებისაა.

დმ- ძირის ისტორიის თვალსაზრისით, მეტად საინტერესო აღმოჩნდა აღმოსავლეთ საქართველოს კიდეც ერთი გეოგრაფიული სახელი – დონა⁷. ეს ფორმა, ჩემი ვარაუდით, ფონეტიკური პროცესის შედეგად იქნა მიღებული: დონა < *დჟანა < *დმანა. დასაშვებია, რომ ჯერ მ>ჟ გარდაქმნა განხორციელებულიყო და ფუძეში აღმოჩენელი ჟა ბგერათკომპლექსი შერწყმულიყო.

როგორც ჩანს, ქართულ ტოპონიმიაში დმ- ძირი და მისგან მიღებული ფუძეები საკმაოდ ხშირად რეალიზდება; გასარკვევია ძირის სემანტიკა და მისი მიზეზ-შედეგობრივი მიმართება გეოგრაფიული სივრცის სახელდებასთან.

საბას ლექსიკონში გვხვდება დ უ ბ ე სიტყვა, რომელიც განმარტებულია „დაბალ ადგილად“⁸. გარდა ამისა, ეს ფორმა დაცულია იმერულში და, პ. გაჩეჩილაძის განმარტებით, ნიშნავს „ვაკე ადგილს, რომელსაც ირგვლივ გორაკები ავლია“⁹. შ. ფუტკარაძის ცნობით, იგი აჭარულშიც (მუჰაჯირთა მეტყველება) იმავე მნიშვნელობის მატარებელია¹⁰. სავარაუდოდ, ეს ფორმა მერმინდელი უნდა იყოს და შესაძლოა დმ- ძირიდან წარმოქმნილიყო ფონეტიკური პროცესის ამგვარი განხორციელებით: დმ > დუმ > დუბ.

ძირის ყველა შესაძლო ფონეტიკური გარდაქმნისა და ბგერათმე-

1 მდინარე იმერეთში, სოფელ ბორითთან (ხარაგაულის მნცპ.) ერთვის ძირულას.

2 მდებარეობს ყვირილის ხეობაში, მთა ჩიხასთან (საჩხერის მნცპ.).

3 ეგვევ სუფიქსი იმერეთისა და დასავლეთ საქართველოს სხვა გეოგრაფიულ სახელებშიც გვხვდება: სხალ-თა, კალო-თა, კობალ-თა, აგო-თა და სხვ.

4 სოფელია გუდამაყარში (დუშეთის მცნპ.).

5 იგულისხმება სოფელი დუმაცხოვი (ხაშურის მნცპ.).

6 საერთოდაც დუმანისი ქვემო ქართლში (თეთრიწყაროს მნცპ.) მდებარეობს; სოფელს 2015 წლის 6 ოქტომბერს საქართველოს მთავრობამ ჯვარა დაარქვა (იხ. დადგ. N515).

7 სოფელია ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში.

8 ორბელიანი 1949, 172.

9 გაჩეჩილაძე 1976, 67.

10 ფუტკარაძე 1989, ქდვ: www.corpora.co/#/dictionaries.

სატყვისობის წესთა გათვალისწინებით, ძიება ქართველურ ენათა ლექსიკაშიც განვაგრძეთ. ამ მხრივ საინტერესო აღმოჩნდა კოლხურისა და სვანურის მონაცემები.

კოლხურს ჭანურ კილოში აღმოაჩნდა სიტყვა დ უ მ ბ უ რ ი, რომელიც, ა. თანდილაძის განმარტებით, „ძნელად საბარ, უხეშ მიწას“ ნიშნავს¹. სიტყვა ასე დანაწევრდება: დუმბ-ურ-ი, სადაც ფუძის მანარმოებელია /-ურ/ სუფიქსი. თავის მხრივ, დუმბ- ძირიც სახეცვლილი ჩანს; დასაშვებია, რომ *დუმ- ფორმისაგან მიღებულიყო: ჭანურში მ-ს შემდგომ ბ-ს განვითარება უცხო მოვლენა არაა².

მეგრულში დასტურდება სიტყვა დ უ ბ ე, რომელსაც ა. ქობალია განმარტავს: „მთის ხეობა; დაბალი, ჩავარდნილი ადგილი; ძახველი“³; იგი, სავარაუდოდ, ქართულიდან უნდა შესულიყო⁴.

სვანურს მოეპოვება ტუბიბ- „ხეობის“ აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეული⁵. სიტყვა პირვანდელი სახით რომ არ გამოიყურება, ამას მეტყველებს ქართულ-კოლხურის ჩვენებაც. ანლაუტში, როგორც ჩანს, *დ>ტ სახის დისიმილაციური გარდაქმნა განხორციელდა, ინლაუტში კი *უ>ტი დიფთინგიზაციის პროცესთან გვაქვს საქმე⁶, ეს მოვლენები კი სვანურს არ ეუცხოება.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩოლურულში ამ ძირისაგან ახალი ფუძე ტუბიბრა „ღელე“ იწარმოება⁷. ეგვევ ძირი მონაწილეობს აგრეთვე სვანურ გეოგრაფიულ სახელთა წარმოებაში: ტვიბ⁸, ტვიბერ⁹...

როგორც განხილული მონაცემებიდან ჩანს, ძირი აღმოაჩნდა სამივე ქართველურ ენას. მიუხედავად იმისა, რომ იგი ფონეტიკური ნაირგვარობით ხასიათდება, შესაძლებელია მისი პირველსახის აღდგენა შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

ქართ. დუმ- // დუბ- // დმ- // დტ- „მთა-გორაკთა შორის მოქცეული დაბლობი“

კოლხ. დუმბ- „ძნელად საბარი, უხეში მიწა“

სვან. ტუბიბ- „ხეობა, ღელე“

ა) აღნაუტის პოზიციაში პირვანდელი ვითარება შემორჩენილი უნდა ჰქონდეს ქართულსა და კოლხურს, სვანური ფორმა სახეცვლილია.

ბ) ქართულში გამოვლენილ ფორმათა შორის ამოსავალ ვითარებას CVS აგებულების ძირის ფორმები, ვოკალური ელემენტის გაქრობა მეორეულია.

გ) პირვანდელი ძირის ვოკალური ელემენტი, სავარაუდოდ, არ დაცულა არც ერთ შემთხვევაში, გარდა ერთადერთი გეოგრაფი-

1 თანდილაძე 2013, 228.

2 შდრ. ქუთელია 2005, 118-20.

3 ქობალია 2010 (ელექტრონული წყარო: www.ice.ge/liv/liv/megr.php).

4 ვარაუდს ის გარემოებაც მიმყარებს, რომ დუბ სიტყვა ქართული ენის დასავლურ კილოებშია შემორჩენილი.

5 თოფურია-ქაღდანაი 2000 (ელექტრონული წყარო: www.ice.ge/liv/liv/svanur1.php).

6 შდრ. ჟღენტი 1949, 109-11.

7 ლიპარტელიანი 1994, 265.

8 სოფელი ქვემო სვანეთში, ჩოლურის თემში (ლენტეხის მნცპ.).

9 მყინვარი სვანეთის კავკასიონის ქედზე, აგრეთვე სოფელია ზემო სვანეთში, ცხუმარის თემში (მესტიის მნცპ.).

ული სახელის ძირ-ფუძისა (დომ-ი). იგი, სავარაუდოდ, ანაპტიქსური ხმოვანი უნდა ყოფილიყო, რის გამოც სუსტი პოზიცია ექნებოდა სიტყვაში და ბგერათშერწყმით ამიტომ ასიმილირდებოდა მ სონორის მიერ.

დ) დიფთონგიზაცია, უთუოდ, მეორეულია, აშკარად საკუთრივ სვანური მოვლენაა, რამეთუ უ>ტი გადაბგერების სხვა მრავალი შემთხვევა გვაქვს (მაგ., გუშგუედ > გუიშგუედ...). მის განხორციელებას საფუძველი ფუძე-ენიდან უნდა ჰქონოდა და შესაძლოა /ტი/ დიფთონგი სწორედ გარდაქმნის შუალედურ საფეხურს ასახავდეს: *დი-მ>დტიმ>დუმ.

ე) სემასიოლოგიური ჩარჩოები – „ხეობა“, „ღელე“, „მთათა შორის მდებარე ვაკე“, „უხეში მინა“ ერთმანეთთან მჭიდრო სიახლოვისა და მიზეზ-შედეგობრიობის მაჩვენებელია.

ვ) დმ- ძირისაგან წარმოებულ ქართულ ტოპონიმებს (დვანი, დმანისი, დმენისი, დუმანისი, დუმაცხო, დუმაცხოვი, დუნთა, სადმელი) ფიზიკურ-გეოგრაფიული თვალსაზრისითაც მიესადაგება მთისწინეთის, გორაკთა შორის მოქცეული დაბლობის, ღელის (დუმალა ჰიდრონიმის შემთხვევაში) აღქმითი სახელდება.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, მართებულად მიმაჩნია საერთო-ქართველურ ფუძე-ენის ქრონოლოგიურ დონეზე *დომ- „დაბლობი მთათა შორის“ აგებულების ძირის აღდგენა.

დამონებაანი

გაჩეჩილაძე, პოლიევქტ. 1976. იმერული დიალექტის სალექსიკონო მასალა. თბილისი: მეცნიერება

თანდილავა, ალი. 2013. ლაზური ლექსიკონი, თბილისი: საარი

თოფურია ვარლამ, ქალდანი მაქსიმე. 2000. სვანური ლექსიკონი, თბილისი; ელექტრონული www.ice.ge/liv/liv/svanur1.php

ლიპარტელიანი, ასლან. 1994. სვანურ-ქართული ლექსიკონი, თბილისი

ორბელიანი, სულხან-საბა. 1949. სიტყვის კონა (რედ. ს.ყუბანეიშვილი). თბილისი: სახელგამი

ჟლენტი, სერგი. 1949. სვანური ენის ფონეტიკის ძირითადი საკითხები. თბილისი: საქ. მეცნ. აკად. გამ-ბა

ფუტკარაძე, შუშანა. 1989. ჩვენებურების ქართული. ქვე: www.corpora.co/#/dictionaries

ქობალია, ალიო. 2010. მეგრული ლექსიკონი, ელექტრონული: www.ice.ge/liv/liv/megr.php

ქუთელია, ნათელა. 2005. ლაზურის ფონემატური სტრუქტურა. თბილისი: თსუ გამ-ბა

ჩიქობავა, არნოლდ. 2008. ენათმეცნიერების შესავალი. თბილისი: თსუ გამ-ბა